2020




# ინტერნეტის ხელმისაწვდომობისა და გამოყენების ტენდენციები საქართველოში

# შინაარსი


შესავალი ..... 2

სტატისტიკური მიმოხილვა ..... 2

ინტერნეტი და განათლება ..... 8

საყოველთაო ინტერნეტიზაციის პროექტი ..... 8

ხელისუფლების და ინტერნეტ სერვის პროვაიდერების როლი ..... 10

დასკვნა ..... 12



*მოცემული მასალის მომზადება დაფინანსებულია შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს, Sida-ს მიერ. შინაარსზე პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება მის შემქმნელს. Sida შესაძლოა არ იზიარებდეს გამოთქმულ ხედვებსა და ინტერპრეტაციებს.*

# შესავალი

2016 წელს გაეროს გენერალური ასამბლეის ადამიანის უფლებათა საბჭოს მოხსენებამ, ინტერნეტზე წვდომა გამოაცხადა ადამიანის ძირითად უფლებად, რომელიც პიროვნებას უნდა აძლევდეს „საკუთარი აზრისა და გამოხატვის თავისუფლების გარანტიას“. „ინტერნეტი XXI საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ინსტრუმენტია ინფორმაციის გამჭვირვალობის, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის და მოქალაქეების აქტიური მონაწილეობის ხელშესაწყობად დემოკრატიული საზოგადოებების მშენებლობაში“- იკითხება მოხსენებაში. 2018 წელს საქართველოს განახლებული კონსტიტუციის მე-17 მუხლშიც შევიდა მსგავსი ჩანაწერი, რომლის მიხედვით, „ყველას აქვს ინტერნეტზე წვდომისა და ინტერნეტით თავისუფლად სარგებლობის უფლება,“ რაც ნიშნავს რომ სახელმწიფოს აქვს პოზიტიური ვალდებულება ინტერნეტი გახადოს ფართოდ ხელმისაწვდომი.

ინტერნეტი და ციფრული ტექნოლოგიები მრავალი ადამიანისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობას ატარებს, ხოლო პანდემიის და საგანგებო მდგომარეობის ფონზე ამ ფრაზამ უფრო პირდაპირი დატვირთვა შეიძინა. შეზღუდული გადაადგილების პირობებში სასწავლო და სამუშაო პროცესი მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის დისტანციურ რეჟიმში ინტერნეტის მეშვეობით მიმდინარეობს, გაზრდილია კერძო და საჯარო სერვისებზე ონლაინ წვდომის მოთხოვნაც. ასევე, აღსანიშნავია, ინტერნეტის მნიშვნელობა საზოგადოების ინფორმირების თვალსაზრისით. პანდემიის პირობებში მოსახლეობას ყოველდღიურად მიეწოდება სასიცოცხლო მნიშვნელობის და სწრაფად განახლებადი ინფორმაცია საჯარო განცხადებების, მონაცემების თუ რეკომენდაციების სახით.

შესაბამისად, ინტერნეტზე წვდომის უქონლობამ შესაძლოა სერიოზული დისკომფორტი შეუქმნას ადამიანს, განსაკუთრებით ასეთ პერიოდში. მიუხედავად ამისა, დღეის მდგომარეობით საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით ორ მეხუთედს ინტერნეტზე წვდომა არ გააჩნია.

# სტატისტიკური მიმოხილვა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) 2019 წლის მონაცემებით, შინამეურნეობების 79% უზრუნველყოფილია ინტერნეტით. ქალაქებში ეს მაჩვენებელი 86%-ს აღწევს. თუმცა, მდგომარეობა უფრო სავალალოა სოფლებში, სადაც შინამეურნეობების მხოლოდ 69.9%-ია ინტერნეტზე წვდომით უზრუნველყოფილი.




2020 წლის იანვრის მონაცემების მიხედვით, ქვეყნის მასშტაბით ფართოზოლოვანი ინტერნეტის აბონენტთა რაოდენობა 919,905-ს უტოლდება. თუმცა აღინიშნება დაფარვის სიმკვრივის მკვეთრი დისბალანსი ტერიტორიულ ერთეულებს შორის. რეგიონების მიხედვით, ყველაზე არასახარბიელო მდგომარეობა რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთშია, სადაც ინტერნეტ დაფარვის სიმკვრივე მხოლოდ 15%-ს შეადგენს და მთელი რეგიონის მასშტაბით მხოლოდ 2,175 აბონენტია. თბილისსა (125,7%) და აჭარაში (124%) სიმკვრივე 100% აღემატება, რაც მიუთითებს იმაზე, რომ აბონენტების რაოდენობა შინამეურნეობების რაოდენობას აჭარბებს.




* სიმკვრივე – ფიზიკური პირი აბონენტების რაოდენობა გაყოფილი რეგიონში შინამეურნეობების (ოჯახების) ან მოსახლეების რაოდენობაზე.

საერთაშორისო ტელეკომუნიკაციების კავშირის (ITU) 2018 წლის მონაცემებით, მეზობელ და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის, ინტერნეტზე ყველაზე დაბალი ხელმისაწვდომობა უკრაინის და საქართველოს მოქალაქეებს აქვთ.




საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მონაცემების თანახმად, 2019 წელს 3 მილიონზე მეტი აბონენტი სარგებლობდა მობილური ინტერნეტით და ეს ციფრი საკმაოდ სწრაფად იზრდება. თუ გავითვალისწინებთ მიმდინარე ტენდენციას.




კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2018 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ მობილური ინტერნეტის მომხმარებლების ყოველწლიური ზრდის მიუხედავად, აბონენტების 45% პროცენტამდე მობილურ ინტერნეტს ვერ/არ იყენებს შესაბამისი უნარ-ჩვევების, ფინანსური შესაძლებლობის ან მხარდაჭერის მქონე ტელეფონის უქონლობის გამო.

აღსანიშნავია, რომ ინტერნეტ-ინფრასტრუქტურაზე წვდომა არ არის მისი გამოყენების ერთადერთი მაჩვენებელი. ასევე, მნიშვნელოვანია, კომპიუტერით უზრუნველყოფის და ციფრული წიგნიერების სტატისტიკა, რომლის მიხედვითაც საქართველოში შინამეურნეობების მხოლოდ 62% პროცენტი ფლობს კომპიუტერს, ხოლო მოსახლეობის 46% პროცენტი თვლის, რომ არ გააჩნია მის გამოსაყენებლად საჭირო საწყისი ცოდნა.

## ინტერნეტთან დასაკავშირებელი მოწყობილობების ფლობა შინამეურნეობებში




COMPABL: კომპიუტერის ცოდნა (%)



საქსტატის 2019 წლის მონაცემების თანახმად, საქართველოს მოსახლეობის 86% ინტერნეტს იყენებს ონლაინ აუდიო/ვიდეო კავშირისთვის, 55% ახალი ამბების მოსაძიებლად, ხოლო 52% ჯანმრთელობის საკითხებზე ინფორმაციის მოსაძიებლად. საგანგებო მდგომარეობის პირობებში ამ მაჩვენებლების გაზრდა სავსებით მოსალოდნელია და საინტერსო იქნება 2020 წლისთვის ანალოგიური გამოკითხვით გამოვლენილი ახალი ტენდენციები.

## ინტერნეტი და განათლება

კორონავირუსის პრევენციის მიზნით სასწავლო პროცესი შეჩერებულია. შექმნილ ვითარებაში სწავლების პროცესის წარმართვისთვის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო დისტანციურ სწავლების ელექტრონულ და სატელევიზიო ფორმატებს განიხილავს. საქართველოს საჯარო სკოლებისთვის (ადმინისტრაციისთვის, მასწავლებლებისა და მოსწავლეებისთვის) შეიქმნა Microsoft Office 365-ის მომხმარებლის პროფილი (600 000-მდე მოსწავლე და 55 000-მდე მასწავლებელი). ბოლო მონაცემებით პროგრამა Teams-ს უკვე იყენებს 213,919 მომხმარებელი.

დისტანციურ რეჟიმზე სწავლებას ხელს უწყობს სახელმწიფოს მიერ დარიგებული ნეტბუქები, რომლებიც 2011 წლიდან გადაეცემა ყველა საჯარო სკოლის პირველკლასელს. თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს საჯარო სკოლებში ყოველწლიურად საშუალოდ 45,000 პირველკლასელი ირიცხება, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ამჟამად 405,000-მდე მოსწავლე (საჯარო სკოლის მოსწავლეების 73.6%) ფლობს აღნიშნულ ნეტბუქს. ამ გამოთვლას ამყარებს ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის კვლევაც, რომლის მიხედვით საქართველოში მოსწავლეების დაახლოებით 78% ფლობს სასკოლო სამუშაოსთვის გამოსადეგ კომპიუტერს. ხოლო, რაც შეეხება ინტერნეტზე წვდომას, დღეს საქართველოში 78,000-მდე სოციალურად დაუცველ მოსწავლეს არ აქვს ინტერნეტი. მათი 95% ცხოვრობს ინტერნეტის დაფარვის ზონაში, თუმცა ხელმოკლეობის გამო ვერ ახერხებს ინტერნეტის საფასურის გადახდას.

განათლების სამინისტროს ძალისხმევის მისასალმებელია, თუმცა ასევე მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება იმ ფაქტზე რომ ქართველი მოსწავლეების ერთი მეხუთედი ვერ ახერხებს სასწავლო პროცესში ეფექტურად ჩართვას ინტერნეტის ან კომპიუტერის უქონლობის გამო.

## საყოველთაო ინტერნეტიზაციის პროექტი

საყოველთაო ინტერნეტიზაციის იდეა ყოფილმა პრემიერმა და მმართველი პარტია „ქართული ოცნების“ ლიდერმა, ბიძინა ივანიშვილმა გააჟღერა. 2015 წელს ააიპ „ოუფენ ნეტი“ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებაში დაფუძნდა და საქართველოში ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარება დაევალა. 150$ მილიონიანი პროექტის მიზანი იყო 2020 წლისთვის, 8,000-კილომეტრიანი ოპტიკური ქსელის გაყვანა და 2,000-მდე დასახლებულ პუნქტში მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის შეყვანა. „ოუფენ ნეტს“ უნდა აეშენებინა ინფრასტრუქტურა ისეთ ადგილებში, სადაც ინტერნეტ-პროვაიდერები, მაღალი

ხარჯის ან მომხმარებელთა დაბალი მოთხოვნის გამო არ გეგმავდნენ ინვესტიციის ჩადებას. გაჟღერდა პროექტის პირველი ეტაპის ფარგლებში მოხვედრილი 473 სოფლის სიაც, თუმცა ამ დრომდე ინფრასტრუქტურის მშენებლობა არ დაწყებულა. „ოუფენ ნეტს“ შესყიდვების სააგენტომ უფლება მისცა გამარტივებული შესყიდვით დაეწყო ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, თუმცა გამოცხადებული 20 მილიონიანი ტენდერი ჩაიშალა.

იმდროინდელი ეკონომიკის და მდგრადი განვითარების მინისტრის, დიმიტრი ქუმსიშვილის და სხვა თანამდებობის პირების მიერ გაჟღერებული განცხადებების თანახმად, პროექტი უნდა განხორციელებულიყო ფონდი „ქართუს“ დაფინანსებით. პირველადი გათვლებით, პროექტისთვის 125-150 მილიონ დოლარი იქნებოდა საჭირო. თუმცა ეს ციფრი დღევანდელი მდგომარეობით გაღებულ თანხას არ შეესაბამება. IDFI-იმ „ოუფენ ნეტისგან” გამოითხოვა 2015-2017 წლებში მიღებული დაფინანსების შესახებ ინფორმაცია, მიღებული მონაცემების თანახმად „ოუფენ ნეტი” ამ სამი წლის მანძილზე სულ 3,178,252 ლარით დაფინანსდა. საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ მიერ ჩატარებულ კვლევაში აღნიშნულია რომ „ქართუმ“ „ოუფენ ნეტი“ მხოლოდ 2015-2017 წლებში დააფინანსა, ჯამში 2.9 მლნ ლარით, ხოლო მას შემდეგ ორგანიზაცია ფუნქციონირებდა სხვა კერძო შემოწირულობების მეშვეობით.

მოგვიანებით ინტერნეტიზაციის პროექტი შეჩერდა, რის ნაცვლად 2020 წლის 1 იანვარს, მთავრობამ საქართველოს ფართოზოლოვანი ქსელების განვითარების 2020 – 2025 წლების ეროვნული სტრატეგია დაამტკიცა. ეკონომიკის და მდგრადი განვითარების მინისტრის, ნათია თურნავას განმარტებით, სტრატეგია ითვალისწინებს რეგიონში საქართველოს, როგორც ციფრული და საინფორმაციო ჰაბის სახით ჩამოყალიბებას და მისი განხორციელება მოხდება მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით. ქსელის მშენებლობას განახორციელებს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სისტემაში შემავალი მუნიციპალური განვითარების ფონდი. სტრატეგიის ზოგადი მიზნებია კონკურენტული ზეწოლა, ინვესტიციების მოზიდვა და ციფრული უნარების და მოთხოვნის განვითარება საქართველოს მასშტაბით. ამდენად, 2025 წლისთვის სამიზნე მაჩვენებლებია:

- 4G კავშირით საქართველოს ტერიტორიის 99%-ის დაფარვა; 5G სერვისის პილოტირება სულ მცირე სამ მუნიციპალიტეტში
- ყველა ინსტიტუციური სუბიექტისთვის 1გბ/წმ კავშირზე წვდომა.
- ყველა შინამეურნეობისთვის მაღალსიჩქარიანი (100 მბ/წმ+) ფართოზოლოვან ქსელზე წვდომა.

სტრატეგიის განხორციელებაში მონაწილეობას მიიღებენ კომუნიკაციების ეროვნული კომისია, სხვა დარგობრივი მარეგულირებელი ორგანოები, მუნიციპალიტეტები, კერძო სექტორი, სამოქალაქო და საერთაშორისო ორგანიზაციები. სტრატეგია და სამოქმედო გეგმა განხორციელდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული პასუხისმგებელი უწყებების ასიგნებების ფარგლებში და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის და სხვა დარგობრივი მარეგულირებელი ორგანოების ბიუჯეტების ფარგლებში. მსოფლიო ბანკის შეფასებით აღნიშნული სამიზნე მაჩვენებლების მისაღწევად საჭირო ინვესტიცია დაახლოებით 600 მილიონ ა.შ.შ. დოლარს შეადგენს (დაახლოებით 1.6 მილიარდი ლარი). პროექტი ინვესტიციის უდიდეს ნაწილს კერძო სექტორიდან ელოდება.

## ხელისუფლების და ინტერნეტ სერვის პროვაიდერების როლი

პანდემიის პირობებში, მსოფლიოში მრავალმა ინტერნეტ-პროვაიდერმა საზოგადოებას სხვადასხვა სახის შეღავათები შესთავაზა. მაგალითად, ურუგვაიში საჯარო სატელეკომუნიკაციო კომპანიამ 120,000 ოჯახს, უფასოდ გამოუყო 50 გეგაბაიტი ინტერნეტი. შეერთებულ შტატებში მოქმედმა პროვაიდერების უმრავლესობამ უფასო/დაბალ ტარიფიანი პაკეტები შემოიღო. არგენტინაში, პერუში, ელ-სალვადორში და აშშ-ს რამდენიმე შტატში ხელისუფლებამ ინტერნეტზე წვდომა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვნად სცნო და პროვაიდერებს საგანგებო მდგომარეობის ვადით აუკრძალა მომხმარებლებისთვის მიწოდების შეწყვეტა გადაუხდელობის გამო.

ამ დროისთვის საქართველოში უკვე მოქმედებს სახელმწიფოს სუბსიდიები კომუნალურ გადასახადებზე, კერძოდ დენი და გაზი უსასყიდლოდ მიეწოდებათ იმ ოჯახებს რომელთა თვიური მოხმარება არ აღემატება 200 კილოვატს და 200 $m^3$. შეღავათები ასევე ვრცელდება დასუფთავებაზე და წყალ მომარაგებაზე, თუმცა არა ინტერნეტზე, რაც ალბათ მიუთითებს სახელმწიფოს მიერ მისი მნიშვნელობის არასათანადო შეფასებაზე. თუმცა, აღსანიშნავია, რომ კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარემ, კახა ბექაურმა სატელეკომუნიკაციო კომპანიებს შემდეგი განცხადებით მიმართა „მოცემულ სიტუაციაში ისეთი კრიტიკული მომსახურებები და კრიტიკული ინფრასტრუქტურა, როგორიც არის სატელეკომუნიკაციო სერვისები, საერთოდ სხვა რეჟიმში უნდა მუშაობდეს, იმისთვის, რომ ჩვენს მოსახლეობას გარკვეული შეღავათები მივცეთ და დავეხმაროთ. ყველამ ერთად უნდა ვიზრუნოთ და ვიმუშაოთ შემდეგი 2-3 თვის განმავლობაში, განვსაზღვროთ რა უნდა გავაკეთოთ ჩვენს სფეროში, რათა მოსახლეობას პრობლემები  არ შეექმნას  და შეუფერხებლად მიიღოს სატელეკომუნიკაციო სერვისები“. კომისიამ ცალკე განცხადებით სატელეკომუნიკაციო კომპანიებს ასევე მოუწოდა საგანგებო მდგომარეობის პერიოდში სრული დატვირთვით მუშაობისკენ.

2020 წლის იანვრის მონაცემით, საქართველოში ფართოზოლოვანი ინტერნეტ აბონენტების 80%-ს ორი მსხვილი პროვაიდერები ემსახურება, მაგთიკომი (446,378 აბონენტი) და სილქნეტი (287,346 აბონენტი).

### აბონენტების განაწილება კომპანიების მიხედვით




2020 წლის იანვრის მდგომარეობით, მობილურ ინტერნეტს 3,189,300 მომხმარებელი იყენებს. ეს ბაზარი კიდევ უფრო ერთფეროვანია და მასში მხოლოდ სამი პროვაიდერი ფიგურირებს, მაგთიკომი, სილქნეტი (ყოფილი ჯეოსელი) და ვიონი საქართველო (ე.წ. ბილაინი).

### მობილური ინტერნეტის მომხმარებლების განაწილება კომპანიების მიხედვით



ზევით მოყვანილი მაგალითებთან მიმართებაში სილქნეტმა და მაგთიკომმაც შესთავაზა მომხმარებელს სხვადასხვა შეღავათები, ახალი მომხმარებლებისთვის ფიქსირებული ინტერნეტის გადასახადის ორი თვით გაუქმება, მობილური ინტერნეტის იაფფასიანი ულიმიტო პაკეტები, უფასო ინსტალაცია და სხვა.

გარდა სახელმწიფო ინტერვენციისა და მსხვილი პროვაიდერების ქველმოქმედებისა არსებობს ამ პრობლემის მოგვარების სხვა გზებიც, სამოქალაქო ინიციატივა „ჩართე" რიგით მოქალაქეებს საშუალებას აძლევს, დაუფინანსონ ინტერნეტის ყოველთვიური გადასახადი ან კომპიუტერი სოციალურად დაუცველ უფროსკლასელებს. ამჟამად, პროექტის მეშვეობით, ინტერნეტი მუდმივად მიეწოდება 700-მდე ოჯახს.

## დასკვნა

ფართოზოლოვანი ინტერნეტი წარმოადგენს მნიშვნელოვან საფუძველს სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის დღევანდელ გლობალურ და სულ უფრო მეტად მზარდ ციფრულ ეკონომიკაში. ამჟამად საქართველოში ადგილი აქვს მკვეთრად გამოხატულ ციფრულ უთანასწორობას, რომელსაც ძირითადად გეოგრაფიული და ეკონომიკური ფაქტორები განაპირობებს.

მიმდინარე კორონავირუსის პანდემიის ფონზე კიდევ უფრო მწვავედ გამოიკვეთა ინტერნეტ წვდომასთან დაკავშირებული პრობლემები. საგანგებო მდგომარეობის პირობებში ინტერნეტი ბევრისთვის არის ერთადერთი განათლების წყარო, სამუშაო საშუალება ან საჯარო სერვისების მიღების გზა. საგანგაშოა, როდესაც მოსახლეობის ერთ მეხუთედზე მეტი მოწყვეტილია ამ შესაძლებლობებს ფინანსური მდგომარეობის, არასაკმარისი უნარ-ჩვევების თუ გეოგრაფიული მდებარეობის გამო. მნიშვნელოვანია, ხელისუფლებამ დროულად და ეფექტურად უზრუნველყოს საქართველოს მასშტაბით ინტერნეტიზაცია, როგორც ინფრასტრუქტურის განვითარების, ასევე, საზოგადოებაში მედია წიგნიერების ამაღლების თვალსაზრისით.

IDFI კიდევ ერთხელ მოუწოდებს ხელისუფლებას მიიღოს ციფრული უთანასწორობის აღმოფხვრისთვის საჭირო ზომები, განახორციელოს კონსტიტუციით დაკისრებული პოზიტიური ვალდებულება და უმოკლეს ვადაში უზრუნველყოს საქართველოს მოსახლეობა ინტერნეტით.